## ხელშეკრულება № 169

## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (მომსახურების შესყიდვა)20თ

(დაფინასების წყარო: )

ქ. გორი 23 ოქტომბერი 2015 წელი

ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი (შემდგომში – "შემსყიდველი") მისი დირექტორის ვლადიმერ შუღლიაშვილის სახით და მეორეს მხრივ **ფიზიკური პირი ემზარ იორამაშვილი** (პირადი ნომერი: 59001032530) (შემდგომში – "შემსრულებელი"), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულების შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ხელშეკრულების საგანია „შემსრულებლის" მიერ 2015 წლის 24 ოქტომბერს ე.წ. "გორის დღეების" ღონისძიებაზე (კონცერტზე) - 2 (ორი) მუსიკალური ნომრით გამოსვლა..

### 2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია:. კონცერტზე მუსიკალური ნომრით გამოსვლა.

- 2 მუსიკალური ნომრის (სიმღერა) შესრულება ( CPV კოდი: 79952100)

### 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში

3.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს – 200 (ორასი) ლარს.

### 4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 "შემსრულებელი" იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს "შემსყიდველის" მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს

### 5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა 2015 წლის 24 ოქტომბერი.

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, „შემსრულებელი" ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა "შემსყიდველისათვის" (საგადასახადო ანგარიშფაქტურა ან სასაქონლო ზედნადები)

### 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება "შემსყიდველისა" და "შემსრულებლის" მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

### 7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1 „შემსრულებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში

7.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით თანხის "შემსრულებლის" საბანკო რეკვიზიტებზე გადარიცხვით.

7.3 ანგარიშწორება „შემსყიდველის" მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.2. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არა უმეტეს 30 (ოცდათი) საბანკო დღის ვადაში.

### 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 „შემსყიდველს" უფლება აქვს: -- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობები.

8.2 „შემსყიდველი" ვალდებულია:- მოახდინოს ანგარიშწორება "შემსრულებელთან" ხელშეკრულებით გათვლისწინებული პირობების შესაბამისად.

8.3 უზრუნველყოფს "შემსრულებლისთვის" სათანადო პირობების შექმნა (ღონისძიებებზე დაშვება და სხვა).

8.4 უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება

8.5 "შემსრულებელს" უფლება აქვს: - მოსთხოვოს "შემსყიდველს" შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.6 "შემსრულებელი" ვალდებულია: მაღალხარისხოვნად მიაწოდოს "შემსყიდველს" შესყიდვის ობიექტი.

8.7 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისათვის

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუზლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესები.

## 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრებამისი ხელის მოწერის დღიდან ერთი კალენდარული თვის ვადით.

## *11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა*

11.1 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა შესაძლებელია საქართველოს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის მიხედვით.

## *12. ფორს-მაჟორი*

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტხანს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კონპესაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## *13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი*

13.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე

13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1 "შემსყიდველი" უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარარელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და "შემსყიდველის" მოთხოვნებთან.

14.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას "შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს "შემსყიდველი" ორგანიზაციის დირექტორი.

14.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ "შემსყიდველი" დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს "შემსრულებელს" წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელსაყრელ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება "შემსრულებელს", საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 15. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2 არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიაანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4 ხელშეკრუელბა შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## 16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

**შემსყიდველი**

ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის

მერიის მოსწავლე-ახალგაზრდობის

კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი

მის.: ქ. გორი, მშვიდობის გამზ. №12ა

ბანკი: სახელმწიფო ხაზინა

ბ/კ: TRESGE22

ს/ნ 417883035

/ვ. შუღლიაშვილი /

**შემსრულებელი**

ფიზიკური პირი ემზარ იორამაშვილი

მის.: გორის რაიონის სოფელი ტინისხიდი

პ/ნ: 59001032530

ს.ს. "თბისი ბანკი"

ბ/კ: TBCBGE22

ა.ა: GE33TB7214136010300011

/ე. იორამაშვილი/

# მიღება-ჩაბარების აქტი

(ხელშეკრულების პირობების შესრულების შესახებ)

ქ. გორი

24 ოქტომბერი 2015 წელი

ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი (შემდგომში – "შემსყიდველი") მისი დირექტორის ვლადიმერ შუღლ;იაშვილის სახით და მეორეს მხრივ **ფიზიკური პირი ემზარ იორამაშვილი** (პირადი ნომერი: 59001032530) (შემდგომში – "შემსრულებელი"), ვადგენთ წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ 2015 წლის 23 ოქტომბრის ხელშეკრულების (სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (მომსახურების შესყიდვა)) მოთხოვნათა შესაბამისად, "შემსრულებელმა" მოახდინა ე.წ. "გორის დღეების" ღონისძიებაზე (კონცერტზე) ორი მუსიკალური ნომრით გამოსვლა. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს – 200 (ორასი) ლარს, საიდანაც ხელზე ასაღები თანხაა – 160 (ასამოცი) ლარი.

აქტის სისწორეს ვადასტურებთ ხელმოწერებით

შემსყიდველი

შემსრულებელი

ვ. შუღლიაშვილი

ე. იორამაშვილი